# ხელშეკრულება № მპ-03/14

დას. საბერიო „20“ „-აგვისტო-“ 2014 წ.

შპს “ენგურჰესი”, იურ. მისამართი ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქტ. მდებარეობა გალის რ-ნი დას.საბერიო შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი *დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს „მერკური პლიუსი” იურ. მისამართი, ქ. თბილისი, ხარაბაძის ქ. 30, შემდგომში „მიმწოდებლად” წოდებული, მისი დირექტორის ნუგზარ სოსელიას სახით, რომელიც მოქმედებს ასევე საწარმოს წესდების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ”შემსყიდველი” ავალებს, ხოლო “მიმწოდებელი” თანახმაა ურთიერთშეთანხმებულ ვადაში გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურება:

შპს „ენგურჰესის" РОДЦ-60000/500 ტიპის რეაქტორის სასადგურო დასახელება 1P „A" ფაზის საქარხნო ნომერი 1235813 გამოშვების წელი 1984, კაპიტალური შეკეთება თანდართული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოცულობით

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
იური შონია – რემონტების მენეჯერი;
კობა ბოკუჩავა – მ/ზედა საამქროს უფროსის მოადგილე;
რევაზ გვაგვალია – სტგ-ს უფროსი;

## 3. გარანტიები

3.1 “მიმწოდებელი” იძლევა საგარანტიო ვადას მოწყობილობის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე, რომელიც განისაზღვრება 1 (ერთი) წლით. ის ვალდებულია გაწიოს მომსახურება ტექნიკური მოთხოვნების სრული დაცვით, მომსახურების არაჯეროვნად გაწევის შემთხვევაში ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ გაასწოროს მისი მიზეზით გამოწვეული ყველა დეფექტი და უწესივრობა საგარანტიო ვადის განმავლობაში და აუნაზღაუროს “შემსყიდველს” მიყენებული ზარალი.

## 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. “მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
- მკაცრად დაიცვას მომსახურების გაწევის დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;
- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;



ნ.ს.

4.2. "მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის დასადასტურებლად "შემსყიდველს" შეუძლია მოიწვიოს მესამე მხარე თავისი ხარჯებით. ამასთან "მიმწოდებელი" ანგარიშვალდებულია მხოლოდ "შემსყიდველთან";

- "შემსყიდველი" ვალდებულია მოახდინოს ობიქტზე დაშვება და შემდეგი კონტროლი არსებული წესების მიხედვით;
- "მიმწოდებლის" მხრიდან პასუხისმგებელი ვალდებულია ნებისმიერ დროს მოახსენოს "შემსყიდვლის" წარმომადგენელს გასაწევი მომსახურების მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

4.3. "შემსყიდველი" აბარებს "მიმწოდებელს" შეკვეთის ობიექტს უსაფრთხოდ მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა ღონისძიებების (გამორთვა, დამიწება და სხვ.) შესრულების შემდეგ.

4.4. "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

- მომსახურების გაწევის შემდეგ აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების საფასური 6.4 პუნქტის შესაბამისად.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობები

5.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

5.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს მომსახურების გაწევის ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემწყიდველის" წინაშე გაწეული მომსახურების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

5.4 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ გაწეული მომსახურების ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები.

6.1. საერთო სახელშეკრულებო ფასი შეადგენს: 98864,77 (ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაასამოცდაოთხ ლარს და სამოცდაჩვიდმეტ თეთრს) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

6.2. ხელშეკრულების ფასი მყარია და შეიცვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორმხრივი შეთანხებით შეიცვლება გასაწევი მომსახურების მოცულობა. ამ შემთხვევაში ცვლილებები აისახება ხელშეკრულებაზე დამატებითი შეთანხმების სახით.

6.3. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო;

6.4. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგნაირად

- ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე განხორციელდება ეტაპობრივად მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურსი წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 7. ვალდებულებების შესრულების ვადები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო ქმედებას "მიმწოდებელი" იწყებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან.

7.2. გასაწევი მომსახურების ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 კალენდარული დღით.

7.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადამდე.

7.4. „მიმწოდებლის" მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ჩაითვლება „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებლად.

## 8. ფორს - მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჭირო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

8.2 ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეხრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

## 9. ცვლილებები ხელშეკრულებაში

9.1 ხელშეკრულების ორივე მხარეს მომსახურების გაწევის მსვლელობის დროს უფლება აქვთ შეიტანონ ტექნიკური ცვლილებები მომსახურების გაწევის მოცულობაში, თუ მათი აზრით ეს ცვლილებები აუმჯობესებს შედეგებს და არის შესრულებადი, ამასთან "შემსყიდველს" აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს "მიმწოდებლის" წინადადება ცვლილებებზე.

9.2 ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პროცედურები ფორმდება როგორც დამატება ხელშეკრულებაზე და მხარეების ხელმოწერის შემდეგ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამავე წესით ფორმდება მომსახურების პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოს მოცულობები.

9.3 არავითარი ცვლილება არ მიიღება ცალმხრივად მხარეების წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.4. ფასთა ცვლილება განიხილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

## 10. სხვა პირობები

10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.

10.3. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ



ნ.ც.

ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

10.4. სადაო საკითხები რეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებით. თუ ეს მოლაპარაკება აღმოჩნდება უშედეგო, დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს კანონების მიხედვით.

10.5. ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 30 ოქტომბრამდე.

## 11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| “შემსყიდველი” | “მიმწოდებელი” |
| **შპს “ენგურჰესი”** | **შპს „მერკური პლიუსი”** |
| იურ. მისამართი ქ.თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას №8, ფაქტ. მდებარ. გალის რ-ნი დას. საბერიო | იურ. მისამართი, ქ. თბილისი, ხარაბაძის ქ. 30 |
| სს „პროკრედიტ ბანკის'' ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება | სს „პროკრედიტ ბანკი'' |
| ბ/კ MIBGGE22 ს/კ 251716371 | ბ/კ 22010929 ს/კ 206145303 |
| ა/ა GE59PC0173600100015015 | ა/ა GE96PC0183600100015886 |
| დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე | დირექტორი |
| ________________ ლ. მებონია | ________________ ნ. სოსელია |

**ვიზა: ტექ. დირექტორი** ------------------------------

**იურ. სამსახური** ------------------------------

**შესყ. სამსახური** ------------------------------

**ფინ. სამსახური** ------------------------------

**ტექ. განყოფილება** ------------------------------

**ბუღალტერია** ——————————————

შპს „ენგურჰესის" РОДЦ-60000/500 ტიპის რეაქტორის სასადგურო დასახელება 1 „ " ფაზის საქარხნო ნომერი 1235813 გამოშვების წელი 1984, კაპიტალური შეკეთების

# ხარჯთაღრიცხვა

| № | დასახელება | განზ | რაოდ | მასალა | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | რეაქტორის განსალტვა | ფაზა | 1 | | | 100.00 | 100.00 | |
| 2 | სამუშაო ადგილის მომზადება | | | | | | 0.00 | |
| 2.1 | 0,4კვ-ის ფარის მოწყობა ძალოვანი კაბელის მონტაჟი | ცალი | 1 | | | 100.00 | 100.00 | |
| 2.2 | განათების მოწყობა | წერტ | 5 | | | 10.00 | 50.00 | |
| 2.3 | წყლის მიყვანა | გრძ/მ | 200 | | | 1.00 | 200.00 | |
| 2.4 | ხანძარქრობის ღონისძიებების გატარება | | | | | 200.00 | 200.00 | |
| 2.5 | სატელეფონო კავშირის მოწყობა | გრძ/მ | 500 | | | 0.50 | 250.00 | |
| 2.6 | შემოღობვა | კვ/მ | 100 | | | 1.00 | 100.00 | |
| 2.7 | ტექნოლოგიური დანადგარების ადგილზე მიტანა, მათი ძაბვის ქვეშ დაყენება, მუშაობის სქემის აწყობა | კომპ | 1 | | | 2000.00 | 2000.00 | |
| 2.8 | ზეთის ავზების ადგილზე მიტანა და მათი მომზადება (20 ტონა მოცულობის) | ცალი | 2 | | | 100.00 | 200.00 | |
| 2.9 | ზეთის დაცლისა და ავსების სქემის აწყობა | წრედი | 1 | | | 100.00 | 100.00 | |
| 3 | რეაქტორის გახურება შესაბამის ტემპერატურამდე, ელ.ტექნიკური გაზომვებისა და გამოცდების ჩატარება, რემონტის დაწყების წინ | ციკლი | 1 | | | 1500.00 | 1500.00 | |
| 4 | მაღალი ძაბვის შემყვანის დემონტაჟი | ცალი | 1 | | | 300.00 | 300.00 | |
| 5 | გაციების სისტემის ( რადიატორების, ძრავებისა და ტუმბოების, ზეთგამტარი მილების) დემონტაჟი | კომპ | 1 | | | 500.00 | 500.00 | |
| 6 | ზეთის გამაფართოებელი ავზის დემონტაჟი | ცალი | 1 | | | 200.00 | 200.00 | |
| 7 | საკონტროლო-მზომი ხელსაწყოების დემონტაჟი | კომპ | 1 | | | 150.00 | 150.00 | |
| 8 | ძალოვანი და საკონტროლო კაბელების დემონტაჟი | კომპ | 1 | | | 100.00 | 100.00 | |
| 9 | გაზური რელის დემონტაჟი | ცალი | 1 | | | 50.00 | 50.00 | |
| 10 | ძველი ზეთის ჩამოსხმა | კგ | 17000 | | | 0.05 | 850.00 | |
| 11 | რეაქტორის ზარხუფის (კოლოკოლის) ახდა | ცალი | 1 | | | 950.00 | 950.00 | |
| 12 | რეაქტორის აქტიური ნაწილის დემონტაჟი და სპეციალურ სადგომებზე დაყენება | კომპ | 1 | | | 3000.00 | 3000.00 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | რეაქტორის აქტიური ნაწილის რევიზია, გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა | კომპ | 1 | | | 5000.00 | 5000.00 | |
| 14 | რეაქტორის აქტიური ნაწილისა და ავზის ფსკერის გაწმენდა; | ცალი | 1 | | | 250.00 | 250.00 | |
| 15 | აქტიური ნაწილის მონტაჟი | კომპ | 1 | | | 3000.00 | 3000.00 | |
| 16 | რეაქტორის ზარხუფის (კოლოკოლის) მონტაჟი | ცალი | 1 | | | 1000.00 | 1000.00 | |
| 17 | მაღალი ძაბვის შემყვანის რევიზია და მონტაჟი | ცალი | 1 | | | 400.00 | 400.00 | |
| 18 | ზეთის გამფრქვევი მოწყობილობის და მისი კოლექტორის დამზადება და მონტაჟება აქტიურ ნაწილზე | კომპ | 1 | | | 1000.00 | 1000.00 | |
| 19 | გაციების სისტემის ( რადიატორების, ძრავებისა და ტუმბოების, ზეთგამტარი მილების) რევიზია და მონტაჟი | კომპ | 1 | | | 1000.00 | 1000.00 | |
| 20 | ზეთის გამაფართოებელი ავზის რევიზია და მონტაჟი | ცალი | 1 | | | 250.00 | 250.00 | |
| 21 | საკონტროლო-მზომი ხელსაწყოების რევიზია და მონტაჟი | კომპ | 1 | | | 200.00 | 200.00 | |
| 22 | ძალოვანი და საკონტროლო კაბელების რევიზია და მონტაჟი | კომპ | 1 | | | 300.00 | 300.00 | |
| 23 | გაზური რელის რევიზია და მონტაჟი | ცალი | 1 | | | 150.00 | 150.00 | |
| 24 | ახალი ზეთის დამუშავება, მომზადება ჩასასხმელად, ანალიზების ჩატარება და ჩასხმა | კგ | 17000 | | | 0.50 | 8500.00 | |
| 25 | რეაქტორის იზოლაციის შრობა, გაზომვების ჩატარება | ციკლი | 15 | | | 1500.00 | 22500.00 | |
| 26 | რეაქტორის ზარხუფის (კოლოკოლის) დემონტაჟი ზეთის გამფრქვევი მოწყობილობის დემონტაჟისთვის | ცალი | 1 | | | 1000.00 | 1000.00 | |
| 27 | ზეთის გამფრქვევი მოწყობილობის დემონტაჟი | კომპ | 1 | | | 500.00 | 500.00 | |
| 28 | რეაქტორის ზარხუფის (კოლოლკოლის) მონტაჟი | ცალი | 1 | | | 1000.00 | 1000.00 | |
| 29 | რეაქტორზე ელ.ტექნიკური გაზომვებისა და გამოცდების ჩატარება, რემონტის დამთავრების შემდეგ | ციკლი | 1 | | | 1000.00 | 1000.00 | |
| 30 | რეაქტორის სარელეო დაცვის, სიგნალიზაციის, გაცივების სისტემის მუშაობის შემოწმება და გაწყობა | ციკლი | 1 | | | 500.00 | 500.00 | |
| 31 | რეაქტორის გაწმენდა და გარეცხვა | ცალი | 1 | | | 150.00 | 150.00 | |
| 32 | რეაქტორის მიერთება სალტეზე | ცალი | 1 | | | 100.00 | 100.00 | |
| 33 | რეაქტორის ქსელში ჩართვის შემდეგ მასზე დაკვირვებების ჩატარება | ციკლი | 2 | | | 50.00 | 100.00 | |
| 34 | ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება | ეგზ | 3 | | | 100 | 300.00 | |
| 35 | სამუშაო ადგილის განთავისუფლება დროებითი ნაგებობებისა და მოწყობილობა - დანადგარებისაგან | კომპ | 1 | | | 400 | 400.00 | |
| | **ჯამი** | | | | | | **59500.00** | |
| | **მასალა** | | | | | | | |
| 1 | თხევადი აზოტი | კგ | 800 | 0.50 | 400.00 | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ძალოვანი კაბელი 3*16+1*10 | გრძ/მ | 100 | 10.00 | 1000.00 | | | |
| 3 | ზეთმედეგი რეზინა | კგ | 50 | 20.00 | 1000.00 | | | |
| 4 | სილიკაგელი | კგ | 500 | 6.00 | 3000.00 | | | |
| 5 | პლასტმასის შლანგები სხვადასხვა დიამეტრის | გრძ/მ | 350 | 2.50 | 1500.00 | | | |
| 6 | ფოლადის მილები სხვადასხვა დიამეტრის | გრძ/მ | 20 | 25.00 | 500.00 | | | |
| 7 | ტექნიკური სპირტი | ლიტრი | 80 | 5.00 | 400.00 | | | |
| 8 | საწმენდი საშუალებები | კგ | 30 | 10.00 | 300.00 | | | |
| 9 | სარეცხი საშუალებები | კგ | 30 | 10.00 | 300.00 | | | |
| 10 | ბურთულებიანი საკისრები | ცალი | 10 | 20.00 | 200.00 | | | |
| 11 | ჟანგბადი | ცალი | 2 | 25.00 | 50.00 | | | |
| 12 | პროპანი | ცალი | 2 | 25.00 | 50.00 | | | |
| 13 | ელექტროდები | კგ | 10 | 5.00 | 50.00 | | | |
| 14 | ვენტილი | ცალი | 6 | 50.00 | 300.00 | | | |
| 15 | თერმოსიგნალიზატორი | ცალი | 2 | 250.00 | 500.00 | | | |
| 16 | რკინის საჭრელი ქვები | ცალი | 10 | 5.00 | 50.00 | | | |
| 17 | თერმოსაიზოლაციო საშუალებები | კვ.მ | 100 | 5.00 | 500.00 | | | |
| 18 | ზეთის ფილტრები | ცალი | 3 | 100.00 | 300.00 | | | |
| 19 | საიზოლაციო მასალები | კგ | 10 | 10.00 | 100.00 | | | |
| | ჯამი II | | | | 10500.00 | | 59500.00 | |
| | ჯამი I+ჯამი II | | | | | | | 70000.00 |
| | სატრანსპორტო ხარჯი 5% მასალებიდან | | | | | | | 525.00 |
| | ჯამი | | | | | | | 70525.00 |
| | ზედნადები ხარჯები 10 % | | | | | | | 7052.50 |
| | ჯამი | | | | | | | 77577.50 |
| | გეგმიური დაგროვება 8% | | | | | | | 6206.20 |
| | ჯამი | | | | | | | 83783.70 |
| | დღგ 18 % | | | | | | | 15081.07 |
| | სულ ჯამი | | | | | | | 98864.77 |

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
________________ ლ. მებონია

„მიმწოდებელი"
შპს „მერკური პლიუსი"
დირექტორი
________________ ნ. სოხელია

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY OF GEORGIA

2859-02-2-201408011232

N 02/2859
01/08/2014

შპს „ენგურჰესს"

თქვენი 2014 წლის 29 ივლისის N06-359 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების გათვალისწინებითა და არადროული რეაგირების გამო ენერგოსისტემის გამართული ფუნქციონირების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, წინააღმდეგი არ არის შპს „ენგურჰესის" მიერ რეაქტორის სარემონტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

პატივისცემით,

მარიამ ვალიშვილი
მინისტრის მოადგილე
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველო.თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2; ტელ.:235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge